რაც უფრო ახლოვდება ფინიში

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 20 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – “ფახთაქორი” (ტაშკენტი) 3:0 (1:0).

“დინამო”: გოგია (გაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი (ჩივაძე), შენგელია.

“ფახთაქორი”: პოკატილოვი, სეროსტანოვი, აშიროვი, მოგილნი, უბაიდულაევი, კორჩენკოვი, ჩურკინი, ანი, მაკაროვი (კურნევი), ფიოდოროვი, ბაკანოვი.

მსაჯი: ვ. შკლოვსკი (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს შენგელიამ (მე12 წუთი) და დარასელიამ (49–ე, 52–ე წუთები).

მატჩი სულ რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როცა ყიფიანის ზუსტი გადაცემის შემდეგ გუცაევი პირისპირ აღმოჩნდა სტუმართა მეკარესთან. პოკატილიოვმა მოახერხა ამ სახიფათო იერიშის მოგერიება. თბილისელთა განზრახვა, თავიდან გაეტეხათ მეტოქე, ამ კომბინაციის შემდეგ რეალურ მუქარად იქცა. ეს, უკვე თავს დატრიალებული საფრთხე, იგრძნო “ფახთაქორმაც” და რადგან სხვა გზა არც ჩანდა, ერთადერთ წმინდა ფორვარდ ჩურკინსაც უკან მოუხმო, თუმცა, შიში ვერ იხსნისო, კარგად უთქვამთ, და ასეც მოხდა. მე–12 წუთზე დინამოელთა ლამაზი კომბინაციის შემდეგ ბურთი უზბეკი ფეხბურთელების კარში აღმოჩნდა. მარცხენა ფლანგზე გოჩა მაჩაიძის რეიდს კარის გასწვრივ გადაცემა მოჰყვა, ბურთი მიიღო გუცაევმა, ერთხანს დააყოვნა და მცველებს გასხლეტილ შენგელიას “დაუკიდა”. ახალგაზრდა ფორვარდის თავური დარტყმა უნაკლო გამოდგა.

…თბილისელი გულშემატკივრები სავსებით გასაგები მოუთმენლობით მოელოდა ამ მატჩს. რა თქმა უნდა, თვითონ გუნდსაც ჰქონდა თვისი ანგარიშები, მაგრამ ფეხბურთის მოყვარული ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებულ მეხსიერებას ამჟღავნებს – სტადიონზე მოსულ მაყურებელს კარგად ახსოვდა ამ კოლექტივების პირველი წრის მატჩის შედეგი და ალბათ სავსებით სამართლიანად საპასუხო სვლასაც მოითხოვდა “დინამოსგან”. ამთავითვე ვთქვათ, რომ გუნდმა მშვენივრად გაუგო ტრიბუნას, კარგად ითამაშა და არც გააწბილა ქომაგნი.

მატჩის განმავლობაში “დინამო”, როცა ამას საჭიროება მოითხოვდა, ცვლიდა თამაშის მანერას, უმატებდა ან ანელებდა ტემპს. ამ არითმიამ სათანადო ნაყოფიც გამოიღო – “ფახთაქორი” ერთთავად მასპინძელთა კარნახით მოქმედებდა. ხან მთელი გუნდით იყრიდა თავს საკუთარ კართან, ხან თბილისელთა სატყუარაზე წამოგებული, იერიშით ერთობოდა და სახიფათოდ იშიშვლებდა ზურგს.

უზბეკ ფეხბურთელებს ფაქტიურად ორჯერ, 28–ე და მე–60 წუთებზე მიეცათ შესაძლებლობა თავი გამოეჩინათ. პირველ შემთხვევაში ფიოდოროვს გადამწყვეტ მომენტში, როგორც ჩანს, ტექნიკამ უღალატა, მეორედ იმავე ფიოდოროვის სახიფათო გადაცემას სათანადო გაგრძელება ვერ მოუძებნა მოგილნიმ. ეს იყო და ეს. რა თქმა უნდა, მატჩის მიწურულს მასპინძელთა კართან წარმოქმნილი მცირე ქაოსი მხედველობაში მისაღები არ არის, რადგან ამ დროისთვის საქმე ძირითადად მოთავებული გახლდათ.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე სტუმრებს გამორჩათ თბილისელთა კიდევ ერთი “სვლა”. მინდორზე ჩივაძის გამოსვლის შემდეგ მეტი თავისუფლება მიიღო დარასელიამ. დინამოელთა ნახევარმცველმა უნარიანად გამოიყენა ეს შეღავათიც და

თამაშის სადავე დაკარგული მეტოქის (ესეც ჩვენი გუნდის ტაქტიკური მოქნილობის შედეგი იყო) დაბნეულობაც. ორივე, განსაკუთრებით კი მეორე გოლი, ყველაფერმა ამან და ახალგაზრდა ფეხბურთელის აზრიანობამ განაპირობა.

გოჩა მაჩაიძეზე უკვე ვწერდით. სასიამოვნოა, რომ ძველებურ ძალასა და აზრს იძენს თბილისელთა დაცვის მარჯვენა ფლანგის მოქმედებაც. კოსტავა თანდათან იბრუნებს ჩვეულ ფორმას. ამ შეხვედრაში მაყურებელმა ისევ ის, ძველი ყიფიანიც იხილა და საერთოდ, მწვრთნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ "დინამო", რაც უფრო ახლოვდება ჩემპიონატის ფინიში, სულ უფრო მონოლითურ, ოქროს მედლებისთვის რეალურად მებრძოლ კოლექტივად გვევლინება.

ი. ბერიაშვილი.
"ლელო", 22 აგვისტო, 1978 წ.